ამერიკული სასკოლო განათლების ინსტრუმენტები —

ინტერვიუ ნანა შველიძესთან

(ნაწილი მესამე)

მარიამ გოდუაძე

სტატიის ამ ნაწილში ნანა შველიძე ამერიკულ სკოლაში ნიჭიერი ბავშვების ჩართულობასა და სამოქალაქო განათლების ასპექტებზე გვიყვება. მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი ამერიკის ქალაქ სამარვილის საჯარო სკოლის ადმინისტრატორია.

— **ნიჭიერი ბავშვები** საშუალო სკოლიდან, როგორც მოხალისეები, ეხმარებიან ელემენტარულ სკოლებში სხვადასხვა მასწავლებელს რამდენიმე საათით კვირაში ან ეს მოსწავლეები ჩართული არიან წრეებში ზედამხედველებად. მაგალითად, პროგრამების წერის წრე დაკომპლექტებულია მე-5 კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით და მათ მეთვალყურეობას უწევენ ასეთი ნიჭიერი სტუდენტები, რათა წლის ბოლოს ჩატარებულ კონკურსში თავიანთი გუნდები გამოაჩინონ.

ისინი ასევე დასაქმებულნი არიან ქალაქის კერძო სამსახურებში, არასრული განაკვეთით, რა თქმა უნდა.

— **ნანა, სამოქალაქო განათლების მიმართულებებზე რას გვეტყოდით? ჩემთვის არც ამ დარგში მუშაობაა უცხო. ჯერ კიდევ 2008 წელს, მაშინ, როდესაც საქართველოს სკოლებში სამოქალაქო განათლება ცალკე საგნებად არც კი იყო ჩაშლილი საჯარო სკოლების სასწავლო ბადეში, ქუთაისში მდებარე ერთ-ერთი, ქართულ-ამერიკული სკოლისთვის შევქმენი პროგრამები ეთიკის, ტოლერანტობის, სამოქალაქო განათლების საგნებისათვის. მეხმარებოდა და მაძლიერებდა ევროკავშირის მიერ ორგანიზებული „პესტალოცის“ თუ სხვა, ამერიკულ პროგრამებში (მაგალითად, ამერიკის დემოკრატიის მეხსიერების ბანკის პროგრამა "Civic Voices" და სხვ.) მონაწილეობა. მიღებულ გამოცდილებას კი სიამოვნებით ვუზიარებდი სამინისტროს წარმომადგენლებსა და ქართველ კოლეგებს. სამინისტროში მაშინდელი ექსპერტის, ბატონი გიორგი გახელაძის, დიდი მხარდაჭერა მახსოვს. მინდოდა,**

დანერგილიყო საგანი „პასუხისმგებლობა“ ამ ან სხვა სახელწოდებით, სასკოლო საზოგადოებებსა და მათ გარეთაც დიდი წინააღმდეგობა გაჩნდა. დღეს მაინც ისწავლება საგნები: „მე და საზოგადოება“, „სამოქალაქო თავდაცვა“, ზოგან — „სამართალიც“, ზოგან — „ეკონომიკაც“ და „მედიაწიგნიერებაც“. თუმცა ის, რაც ბავშვებს მახლობელი სათემო საზოგადოების კვლევის, შრომის პრაქტიკულ ჩვევებს, ბიზნესუნარებს გამოუმუშავებს და განუვითარებს, ჩვენთან ჯერ არ დანერგილა. როგორ „მუშაობს“ თქვენთან სამოქალაქო განათლება? რა პრინციპებს ემყარება ამ საგნის სწავლება?

— სამოქალაქო განათლება უდიდეს როლს თამაშობს მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ადრეული ასაკიდანვე გააცნობიეროს მისი უფლებები, ჰქონდეს წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის სახელმწიფო, რა უფლებები და ვალდებულებები გააჩნია მას, როგორც მოქალაქეს.

ამერიკულ საჯარო სკოლებში „სამოქალაქო განათლება” არ შემოიფარგლება მხოლოდ მთავრობის სტრუქტურებისა და ისტორიული ფაქტების სწავლებით. ეს მოიცავს აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში, საზოგადოებრივ სამსახურსა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას სოციალურ საკითხებზე. აქ სხვადასხვა ფორმით უჭერენ მხარს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. ეს ფორმებია:

- ✓ **სასწავლო გეგმა და აქტიური სწავლება**
  სკოლებში გადიან საგნებს, როგორიცაა: „აშშ-ს მთავრობა” და „აშშ-ს ისტორია”, რაც ეხმარება მოსწავლეებს, გაეცნონ მთავრობის როლს, კონსტიტუციას და მოქალაქის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს;
- ✓ **აქტიური მოქალაქეობის წახალისება**

მოსწავლეებს იწვევენ, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბევრ სკოლაში მოსწავლეს უჩნდება შესაძლებლობა, იყოს „მოსწავლეთა მთავრობის” წევრები, რაც მათ აძლევს ლიდერობის, გადაწყვეტილების მიღების და სხვების წარმომადგენლობის პრაქტიკულ გამოცდილებას. გარდა ამისა, ბევრი სკოლა მოითხოვს, რომ მოსწავლეები მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორც მოხალისე, რაც საშუალებას აძლევს მათ, პრაქტიკულად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში;

- ✓ **სოციალური პასუხისმგებლობის გაგება**

კლასში დისკუსიებისა და პროექტების მეშვეობით, სკოლები ასწავლიან მოსწავლეებს სოციალურ სამართლიანობას, ადამიანის უფლებებს და გარემოს დაცვის საკითხებს. მოსწავლეები განიხილავენ ისეთ თემებს, როგორებიცაა: კლიმატის ცვლილება, საარჩევნო უფლებები ან რასობრივი თანასწორობა, რათა ისინი იყვნენ ინფორმირებული და ეთიკური მოქალაქეები გლობალურ საზოგადოებაში;

- ✓ **მედიალიტერატურა და კრიტიკული აზროვნება:**

დღესდღეობით, როდესაც მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, სკოლები ასწავლიან მოსწავლეებს, როგორ გააანალიზონ ინფორმაცია და განსაზღვრონ მისი სანდოობა. მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გაარჩიონ სანდო და არასანდო ინფორმაცია, როგორ შეაფასონ სოციალური მედიის გავლენა და როგორ გაარჩიონ ფაქტები ფეიკნიუსებისგან;

- ✓ **შრომითი უნარები**

  დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეების მომზადებას შრომის ბაზარზე, რათა ისინი მოემზადონ, როგორც პროფესიონალები და შეძლონ წარმატება სამუშაო გარემოში. სკოლები ეხმარებიან მოსწავლეებს, გაიმყარონ მნიშვნელოვანი სამუშაო უნარები. პროფესიებსაც კი ეუფლებიან და სტაჟირებასაც გადიან. მაგალითად, საშუალო სკოლის დამამთავრებელმა სტუდენტმა სტაჟირება გაიარა ერთ-ერთ ელემენტარულ სკოლაში ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ;

- ✓ **დროის მართვა და ორგანიზება**

სკოლები ასწავლიან მოსწავლეებს, როგორ მართონ დრო და დაასრულონ დავალებები სხვადასხვა აქტივობასთან ერთად. სკოლებში მოსწავლეები იყენებენ კალენდრებსა და „პლანერებს"[1], რათა ორგანიზებულად მართონ დავალებები და ამოცანები. პროექტებს ხშირად ეძლევა ხანგრძლივი ვადები. მოსწავლეებს ასწავლიან, როგორ გადაანაწილონ დრო დავალებების შესრულებაზე და განსაზღვრონ პრიორიტეტები;

- ✓ **გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა**

[1] მგეგმავებს

ჯგუფური პროექტები თანამშრომლობის, კომუნიკაციისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარების განვითარებისთვის;

- ✓ **ეფექტური კომუნიკაციის უნარები**

მოსწავლეები სწავლობენ, როგორც წერილობით, ისე — ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია სამომავლოდ. ინგლისური ენის კლასებში, მოსწავლეები წერენ ესეებს, ასევე გამოსაშვებ კლასში მოსწავლემ იცის სამოტივაციო წერილების წერა უნივერსიტეტებისთვის. ასევე, სკოლებში ხშირად არის საჯაროდ სიტყვით გამოსვლის კლუბები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს თავიანთი აზრების გასაგებ და მკაფიო ფორმირებაში;

- ✓ **პრობლემების გადაწყვეტა და კრიტიკული აზროვნება**

მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გააანალიზონ პრობლემები მათემატიკის ან ინჟინერიის კლასებში. მოსწავლეები მუშაობენ რთულ პრობლემებზე, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, შეარჩიონ და განიხილონ სხვადასხვა გადაწყვეტილება და აირჩიონ საუკეთესო ვარიანტი.

- ✓ **ტექნოლოგიური უნარები**
- ✓ **შრომის ეთიკა და პასუხისმგებლობა**

სკოლებში მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გახდნენ პასუხისმგებლობიანი და პროფესიონალური პიროვნებები. მოსწავლეები ივითარებენ კონკრეტულ პროფესიულ უნარებს, როგორიცაა: ჯანდაცვა, მშენებლობა ან ბიზნესის მენეჯმენტი. აქ ყურადღება ექცევა ასევე შრომის ეთიკას, პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობას.

ამერიკულ საჯარო სკოლებში „სამოქალაქო განათლება" და „შრომითი უნარები" ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სკოლები არა მხოლოდ ასწავლიან მოსწავლეებს, როგორ იყვნენ აქტიური მოქალაქეები, არამედ მზადყოფნაში აყენებენ მათ, როგორც მომავალ პროფესიონალებს. შესაბამისი სასწავლო გეგმით, ექსტრაკურიკულური აქტივობებითა და რეალური პროექტებით, ისინი ემზადებიან ცხოვრებისთვის და შრომის ბაზრისთვის.

გიზიარებთ რამდენიმე ბმულს, ეს არის თვის სტუდენტის აღიარების დღე. ყოველი თვის ბოლოს ყველა კლასი ასახელებს ერთ ან ორ მოსწავლეს .

Student of the month/ceremony at the school/student celebrations/ საუკეთესო მოსწავლის ტიტული
youtube.com

ქვემოთ მითითებულ ვიდეოში ჩემი ბავშვები საუბრობენ ამერიკულ სკოლაზე:

About my school / I live my school / American school / ამერიკული სკოლები
youtube.com

Siblings' Book Fair Pose-Off: Strike a Pose & Win! #endlessreader #bookbug #bookmadness
youtube.com

ეს კი ის დღეა, როცა სკოლაში შემოაქვთ გამომცემლებს წიგნები და იმართება გამოფენა-გაყიდვა. გაკვეთილების დროს ყველა მასწავლებელს რიგრიგობით ჩამოჰყავს ბავშვები და თავად ყიდულობენ წიგნებს. თუ ბავშვს არ აქვს ფული, მასწავლებელი კლასის ბიუჯეტიდან ყიდულობს ბავშვისთვის ორ წიგნს.

რა რჩევები გაქვთ ქართველებისთვის? როგორ ფიქრობთ, რაა სასწრაფოდ შესაცვლელი ჩვენს საგანმანათლებლო სისტემასა თუ სივრცეებში? რა იქნებოდა ჩვენი მენტალური თუ ინტელექტუალური ცვლილების საწინდარი?

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ტექნიკურ აღჭურვილობას სკოლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ძლიერი ტექნიკური სისტემა აუცილებელია სკოლების ეფექტური ფუნქციონირებისათვის, რათა მოხდეს ზრდა, ინოვაცია და სასწავლო შედეგების გაუმჯობესება. კარგად აღჭურვილი სკოლა უკეთაა მომზადებული, რათა შეეგებოს მიმდინარე საგანმანათლებლო გამოწვევებს და ჰქონდეს ლიდერობის პოტენციალი მომავალი პროგრესებისა და ინოვაციების მხრივ. ტექნოლოგიაში ინვესტირება უზრუნველყოფს სკოლებს, რათა ადაპტირდნენ მუდმივად ცვალებად საგანმანათლებლო ლანდშაფტთან, რაც მათ უფრო ეფექტურსა და მომზადებულს ხდის ხვალინდელი გამოწვევების წინაშე.

— რაიმე ხომ არ არის, რაც გამომრჩა და რაზე საუბარსაც ისურვებდით (როგორც მოქალაქე, (მშობელი), პროფესიონალი)?

ამერიკაში გაგებული მქონდა „დასმენასთან“ დაკავშირებული კონცეფციის შესახებ, მაგრამ სრულიად განსხვავებულია დასმენისგან. მაგალითად, თუ ერთმა მოსწავლემ მეორეს შეურაცხყოფა მიაყენა, იმ მოსწავლემ, რომელიც დაზარალდა, ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია მიმართოს ინციდენტის შესახებ. სკოლას აქვს კამერები და თანამშრომლები ისე უგვარებენ საკითხს, რომ ის თითქოს სხვა კონტექსტიდან მოდის. მათ საკმაოდ ეფექტურად შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა ისე, რომ ბავშვები სტრესის გარეშე აგრძელებენ ურთიერთობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც საქართველოში „დასმენად“ ითვლება, აქ ის გადაჭრის ეფექტური მეთოდია პრობლემების დროულად და კონსტრუქციულად მოგვარებისთვის. როდესაც მოსწავლეს ვერ ან არ შეუძლია დამოუკიდებლად პრობლემის გადაჭრა, მას უნდა შეეძლოს იმ პირის მოძიება, რომელსაც დახმარებისთვის მიმართავს. ამისათვის, სკოლის სასწავლო წლის პირველ კვირაში, მასწავლებლები ბავშვებს გადასცემენ ფურცელს, სადაც დაბეჭდილია სკოლის ადმინისტრაციის წევრების ფოტოები, სახელები და პოზიციები. ბავშვებს ასწავლიან, როგორ ითხოვონ დახმარება და რა სიტუაციებში რომელ თანამშრომელს მიმართონ. ამ პროცესის ბოლოს, მათ ანიჭებენ კითხვარს და ისინი ინტერაქციული განხილვის გზით პასუხობენ კითხვებს.

მადლობა თქვენ ამ საკითხების წამოწევისთვის! სიღრმისეულად ვერ განვიხილავ, სამწუხაროდ, და ვერც პარალელებს ვავლებ განათლების სისტემებს შორის, თუმცა, მზად ვარ კონკრეტულ საკითხებზე ამომწურავად გაგცეთ პასუხები, დაინტერესებულ მხარეს სტრუქტურულად დავანახო, სისტემურად დავულაგო გეგმა სკოლების შესახებ.

— ნანა, მადლობა თქვენი დროისა და თანადგომისთვის! წარმატებას გისურვებთ!

ვიტოვებთ იმედს, რომ ნანასთან ინტერვიუ სასარგებლო იქნება ქართული განათლებისა და სამომავლო სასკოლო ცხოვრებისთვის. ჩვენ უკეთესი, უფრო აქტიური და მომზადებული საზოგადოება გვჭირდება, მაღალი შრომითი უნარებითა და ცოდნით, რომელიც ჩვენს ბედკრულ სამშობლოს გეოგრაფიულ ატლასებზე დაჩენისა და ღირსეული არსებობის საშუალებას დაუტოვებს.